




K62-949  
2

სასკოლო გინდურობრივი  
ახალგვერდი გილერეაზე

62.949

2

განვითაროს განვითაროს



სასკოლო გილერეაზე

6 2 6 3 3 3 8 0 8 0 6 0 6 0 6 0




899.96

გალარების მუზეუმი

18-14 ლ

# მექანიკი



6 2 6 3 3 8 0 8 0 6 0 6 0 6 0

1937

6 2 0 3 0 6 0



სახარულოს აარავინთის  
მრავალი გილიოთის

## გალაქტიონ ტაბიძე

(ბიოგრაფიული ცნობები)

გალაქტიონ ტაბიძე დაიბადა 1892 წელს. მამა პოეტია, პროფესიით მასწავლებელი, მეტად კულტურული ადამიანი ყოფილა. იგი გარდაცელილა ორი თვით აღრე შვილის დაბადებამდე. გაზეთ „ივერიას“ აღუნიშნავს კიდეც მისი გარდაცვალება, როგორც კულტურული დანაკლისი. მის შემდეგ ოჯახს დარჩენია მემკვიდრეობად საკმაოდ დიდი წიგნოსაცავი, რომელსაც უდიდესი როლი შეუსრულებია მომავალი პოეტის გონიერივი განვითარების საქმეში.

ახალგაზრდა დედის თავდადებული მზრუნველობით პოეტს ექვსი წლის ასაკში უკვე მშვენივრად შეუთვისებია წერა-კითხეა. იგი გატაცებით და ხარბად კითხულობდა წიგნებს და წლებთან ერთად თანდათანობით ეცნობოდა მამის დანატოვარ უმრავ წიგნს, უურნალებს, გაზეთებს და ძელ ხელნაწერებს.

პირველი ლიტერატურული ცდები პოეტისა იწყება ბავშვობის ასაკში. 10 წლისა იგი წერდა ლექსებს.

გ. ტაბიძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1908 წელს. ამის შემდეგ იგი გამუდმებით თანამშრომლობს ქართულ ურნალ-გაზეთებში. უსასტიკესი რეაქციის პერიოდში პოეტი უახლოვდება ბოლშევიკურ წრეებს, ესტრება და მონაწილეობს არალეგალურ კრებებზე, სადაც კითხულობს თავის ლექსებს.

1914 წელს გამოდის გალ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული, რომელიც ძლიერ ჩქარა ხდება პოპულარული. ამის შემდეგ პოეტი მოგზაურობს მთელ საქართველოში, მართავს ლიტერატურულ-შემოქმედებით სალაშობს, გამოდის ლექსების კითხვით და ხალხის ფართო მასებში აღვიძებს ინტერესსა და სიყვარულს პოეზიისა და საერთოდ მწერლობისადმი.

ოქტომბრის რევოლუციისთანავე გ. ტაბიძე მიეშურება პეტროგრადში და ხდება მოწმე ოქტომბრის პირველი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დღეებისა და ამბებისა. ამ პირველმა შთაბეჭდილებებმა და განწყობილებამ თავისი მხატვრული განხორციელება პპოვა შემდგომ პოეტის საუკეთესო ლექსებსა და პოემებში.

1919 წელს გამოდის გ. ტაბიძის ლექსების მეორე კრებული.

გ. ტაბიძე ერთი იმ პირველ ქართველ პოეტთაგანი იყო, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უყოყმანოდ დადგა მუშათა კლასის პოზიციებზე და მისი მიზნებისა და ამოცანებისათვის ბრძოლაში ბასრ იარალად გამოიყენა თავისი მძლავრი პოეტური მეტყველება.

გარდა წვრილი ლექსებისა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში, გ. ტაბიძის კალამს ექვთვნის პოემა „ჯონ რიდი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1924 წელს, სამი წლის შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობა სცემს გ. ტაბიძის ლექსების სრულ კრებულს ერთ დიდ ტომად. მას მოსდევს მთელი რიგი ნაწარმოებები: „ეპოქა“ (1927 წ.), „პაციფიზმი“ (1930 წ.), „საით მიდის რევოლუციური საქართველო“ (1931 წ.) და სხვ.

გ. ტაბიძე უახლოეს მონაწილეობას იღებდა და იღებს საბჭოთა მწერლობის ყველა ძქტუალურ საკითხში, იგი გულდასმით სწავლობს და აკვირდება თანამედროვე ცხოვრებას, სოციალისტურ იღმენებლობას და თავისი იდეურ-შემოქმედებით მუშაობით ხელს უწყობს მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის განმტკიცებისათვის წარმოებულ დიადი ბრძოლის საქმეს.

1933 წლის მაისში ოცდახუთი წელი შესრულდა, რაც პოეტი ინტენსიურად და ნაყოფიერად ეწევა თავის ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას. ამ მუშაობას იგი კვლავ განაგრძობს იმ მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე დგომით, როგორც ეს შეზფერის ღირსეულ და მოწინავე რიგებში მყოფ საბჭოთა მწერალს.

1933 წელს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გ. ტაბიძეს მიანიჭა სახალხო მწერლის სახელწოდება, ხოლო 1936 წელს იგი დააჯილდოეს ლენინის ორდენით.

## პირველი მაისი

ლექსი, წარმოთქმული არალეგალურ  
სალამოზე 1908 წლის, პირველ მაისს.

პირველი მაისი,  
 პირველი მაისი,  
 პირველი მაისი  
 მოვიდა ამაყი:  
 წითელი ყაყაჩო  
 თუ იასამანი,  
 ხავერდის ვარდები  
 და თეორი ზამბახი.  
 მეფეს კი, მეფეს კი,  
 ქარით და გრიგალით,—  
 თითქო არავისა  
 და არარაისი, —  
 ციხეში, ბორკილში  
 შიმშილში-ომებში  
 სურს ჩაკლას მუშათა  
 პირველი მაისი.  
 ღრო მოვა და ისევ  
 პროლეტარიატი

მაისის ვარდებით  
სიცოცხლეს აივსებს.  
სალამი იმ დღეებს,  
სალამი იმ ბრძოლებს,  
იმ ნათელ გაწევას,  
იმ პირველ მაისებს!

1908

## დროშები ჩქარა!

გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...

დროშები ჩქარა!

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,

ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანგარა.

დროშები ჩქარა!

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს.

ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა;

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.

დროშები ჩქარა!

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,

ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.

გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!

დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

1917 წ.

## ათრობდა ხალხთა მწუხარება

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,  
მისი სასახლე მონაც ჰყავდა აღფრთოვანებას,  
მოლალატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას  
და მედიდურად ხელს აწერდა: ნიკოლოზი.

ლაჩარი იყო, ქვეყნის ბედი, ღელვა, ქაოსი  
ფრეილინების და დედოფლის ბედს მიანება,  
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დაგვიანება  
გულს გვისერავდა, როგორც ზარი სასაფლაოსი.

კუპონებისთვის მეკუბოვებს ხე აღარ ეყო,  
ხე არ ჰყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე საცმელად,  
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ დასახსნელად.

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,  
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:  
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

1917 წ.

## მიუჩიარს მარტო ქარიშხალი

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადით შუქია  
 ძლეულს,

მოსწყენია საწყალს ცაზე, უიმედოს. ფერმილეულს,

არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარავს  
 ფრთატიგტივა.

ასტკიგდება ხოლმე გული და ცრემლები სცვივა, სცვივა..

მე ზღვის ტალღას არ შევნატრი, კლდის ნაპრალს რომ  
 ეტმასნება,

თუ მშვიდია, არ აქვს გული და ალარ აქვს ცეცხლის ვნება.

მიუვარს მარტო ქარიშხალი, თვალუწვდენელ ზღვიდან  
 ზღვამდე,

მთიდან მთამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!

მიუვარს იმის ნანგრევებზე ახალ გრძნობით შვება-ლხენა,  
 მასში ცოცხლობს ფიქრთა ჩემთა იღუმალი ალმაფრენა!

## 880 „დალანდი“

გამომალვიძა ლამის ალმა ნელმა და ქურდმა,  
 ბალი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,  
 ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,  
 ბალს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი, მალლა იდგა გემი „დალანდი“,  
 როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული,  
 ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი  
 ქვეყნად მოვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ  
 და მოგარისავინ გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;  
 მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ  
 და, არ მახსოვდა; მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:  
 „შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“  
 შავი ზღვის ზეირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“  
 და თვალზე მაღვა განშორების მსუბუქი ცრემლი.

\* \* \*

საქართველოს კარებს გასცდა·  
 წინათგრძნობა ბუმბერაზი,  
 როცა მხნე და ახალგაზრდა  
 მოდიოდა თქვენი რაზმი.

თითქო ცეცხლით დაეთუთქა  
 ლმობიერი გული ძმისა —  
 ათასი მთა წინ გადუდგა,  
 მთები კავკასიონისა:

„გამობრუნდით! რა უარეს  
 შარა - ხევს ხართ მიმავალი,  
 ერთი ბნელი ლაშე არის,  
 რომ ვერა სჭრის კაცის თვალი..

ერთი მეფე დევილა დგას,  
 სამასი წლის დევი ჰქვია;  
 გელის ციხე, ან კატორდა,  
 ან ციმბირი, ანუ ტყევია!“

თქვენ ამბობდით: „სისხლი არის  
მისი ლხინი და შექცევა.  
რაღაც იცის, რომ მომავლის  
სასტიკ მსჯავრს ვერ გაექცევა“.

და დადუმდა ათასი მთა,  
მომლოდინე მზიან ჩრდილის,  
როს ხელახლა გაისმა ხმა  
უდიადეს ჯულაშვილის.

ურყევია თქვენი გული,  
თქვენი მტკიცე სიარული,  
წინ წაწევა და გუგუნი  
ინტერნაციონალური!

## გურიის მთხმი

წინ, მეეტლევ!

ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!

მსურს, რომ ერთხელ კიდევ ენახო გაზაფხულის მთები  
მწვანე,

მსურს რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა  
ოქეანე...

წამიყვანე!

მთები! როგორ შვენით მათხე გაზაფხულის ბუჩქ-  
ფოთოლი.

როგორ შვენის ველზე ნამი, გამჭვირვალე როგორც  
ბროლი.

ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმჯრთალი,

რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვეოლი.

კიბარისი ისე ლელავს, ისე ლელავს, ისე ლელავს,

ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს,

წყარო, კლდეში მოჩუხეჩუხე, წვეთანკარა, ვით ცის ვნება,  
დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება.

და ჩანჩქერი, მთით ნასხლეტი დაფერილი, დილის სხივით,  
ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.

ვდგევარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა,

და მიტაცებს სწრაფი ფრთხებით პოეტური აღმაფრენა.-

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ  
ნასაკირალს,

ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით  
მზირალს,  
ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,  
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,  
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის უინი, ბრძოლის  
ქარი,

არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიალვარი,  
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰქოცნიან ისე ვნებით,  
ისე ცეცხლით, ისე უინით და იმგვარი გატაცებით,  
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,  
როგორც ლერწამ ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში!  
და, მეეტლევ,  
თუ მათ ალერსს ვერ ვეღირსე, გეთაყვანე,  
საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...  
მაშ გარეკვე ეგ ცხენები,  
საღმე შორს, შორს წაიყვანე,  
გამაქანე,  
გამაქანე!

1914

## ჩვენ, პოეტები საქართველოსი

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება  
 და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,  
 რომ არა ერთხელ აგუგუნდება  
 დედამიწაზე კიდევ სამუმი.  
 აჭ, ქიმიური ომების წყება  
 სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში,  
 ახალი ლპობა პოსპიტალების,  
 ახალი ცრემლის ლვარი და თქეში.  
 იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,  
 ნუ გაგიტაცებს ძევლი წუხილი,  
 ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი,  
 ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.  
 გიგანტიური მუხლუხო — ტანკა  
 და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი...  
 პროექტორებმა ჰაერში იგრძენეს  
 ჰაეროების კორიანტელი.  
 წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად  
 ასსანტიმეტრის მქაცრი სახელი,  
 ხევიდან ხევზე გადიგრიალებს  
 ხევიდან ხევის გამოძახილი.  
 გააფთრებული ომის გენია,  
 ძველი უანგივით ყვითელი ფერის,



გადეთარება მეწამულ ზეცას,  
 რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.  
 ვართ პოეტები საქართველოსი,  
 რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,  
 ჩვენ ახლავ ვიცით სად დადგებიან  
 კლოდელი, უამმი, სიუარესი.  
 დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
 და სისხლიანი დგას ანგელოსი,  
 ახალ გრიგალებს ვჭრირავთ სიცოცხლეს  
 ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

## სიმღერის მინდა მე წამოწყება

სიმღერის მინდა მე წამოწყება,  
 რომ გაიშალოს გამოცოცხლება!  
 გამოცოცხლება, გამოცოცხლება,  
     და არა ძილი!  
 დღეს ერთმა შეხვედრამ ილანდა  
     დილით,  
 ისეთმა, რომელიც მართობდა  
 ბავშვობის ღროს გადამეტებით;  
 ერთი ღრუბელიც ცაზე არ ჩანდა,  
 მე კი სახეზე მეცემოდა  
 უეჭველი წვიმის წვეთები  
     გრილი.  
 სანამ გაშრება და ჩამოცხება —  
 სიმღერის მინდა მე წამოწყება:  
 გამოცოცხლება, გამოცოცხლება,  
     და არა ძილი!

ირგველივ ნისლი სუფევდა,  
ვარდებს შხამი ერია,  
მაგრამ წყნარად ამბობდი:  
„იყოს... არაფერია“!

ყველაფერი ქაოსის  
ნაპირამდე მივიდა,  
მაგრამ ლელვას ეტყოდი:  
„დასკხრი... რა მოგივიდა“?

და იქ, სადაც ცბიერნი  
უგულობას ფარავენ,  
შენ იცოდი ლიმილი  
ისე, როგორც არავინ.

მათთან, ვისიც ცხოვრება  
იყო ბედით გმობილი,  
შენ ხალისით მიგქონდა  
სული კეთილშობილი.

და ცხოვრება გიყვარდა,  
როგორც ბრძოლის პიესა,  
და გათრობდა ჰანგებში  
მხოლოდ მარსელიეზა.

რა დღე არ გაიარე —  
ხან კარგი, ხან მწუხარე,  
მაგრამ სიკვდილის დღემდე  
შენს გზას არ გადუხარე.

## მშვიდზე — მშვიდი

მშვიდზე მშვიდი  
ცხრაას შვიდი,  
უეცარი,  
ომის ზარი.  
იყო მწარე  
ჩვენი შარის  
შეშფოთება  
უზეცარი.  
სევდიანად  
შეჭყდა ნანა,  
საღაც ყანა  
იყო ჭყნარი.  
მოპყვა მკაცრი  
კარპატები,  
მერე კრემლი  
და ხანძარი.

## ი ყ ღ

იყო ბურუსი გაურდვეველი  
 და ქაქანებდა ტყვეიამფრქვეველი.

დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,  
 დაცლილ ქუჩებში მკვდრები ეყარა.

უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა  
 და ბნელი ცისკენ გაინავარდა.

ცეცხლი ქლიერი დიღხანს ვინახე,  
 როს იმედები სხვა დავინახე.

ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:  
 „მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს

თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში  
 ტკბილად გეძინათ საქართველოში“.

## გლობუსი ქარი

თოვლის მხარე,  
 ნისლიანი მთა და ბარი.  
 მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი.  
 ზარზე ზარი, სჭრაფი, ჩქარი, მღელვარებად  
 ჩქეფდა ლვარი,  
 ტრიალებდა, როგორც ფარი,  
 შემოდგომის ჩქარი  
 ქარი.  
 მეფის კარი,  
 ნანგრევები, ნატახტარი;  
 მეფე ტყვევა; ტყვევა მეფის ამირბარი, სპასალარი.  
 აქეთ ქუჩა, იქით ჯარი და დროშები გარი-გარი.  
 ისევ ქარი.  
 მოდის მტერი —  
 იქცება ალყად ჯარი.  
 ცხენხე მჯდარი მწარედ კივის მეომარი.  
 კანონადა მშობლიური და ლრუბელი შავად მდგარი.  
 ისევ ქარი,  
 მძაფრი ქარი,  
 თქეში, მთელი ნიაგარი.  
 სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი.  
 ისევ მძიმე პეტერბურგი და ამინდი ბობოქარი.  
 ისევ ქარი,  
 მღვრიე ქარი.

## ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,  
 ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია;  
 მან ბევრი რული და მშვიდი ნანა  
 ქარიშხლის ხმებით მოიგერია.  
 მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.  
 ეს ათი წელი — ათი აგური —  
 დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი,  
 მხურვალე, მხნე და ამხანაგური!  
 მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,  
 დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;  
 ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს  
 და პროლეტარულ აბობოქრებას!  
 გაუმარჯოს ფიქრს, რომ, ალებრ მნათი,  
 ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს  
 ააყირავებს ეს წელი ათი  
 ათიათასი წლის ისტორიას!  
 მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის  
 დღეს საჭიროა, როგორც არასდროს,  
 რევოლუციურ დღის დირიჟორის  
 ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!  
 თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად  
 გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,

ჩენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:  
 გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!  
 ხელოვნებათა არმიავ, ჩქარი  
 ეპოქის გვერდით იარე, წალი!  
 თუ დღეს რამ არის გაუგებარი,  
 ხვალ ნათელივით იქნება ცხალი.  
 ხომ განვლილია ნაწილი გზისგან,  
 სხვა ამოცანა — აღმოსავლეთით.  
 როგორ შორსა გართ იმ ნაპირისგან,  
 გემზე პირველი გზით რომ ავედით!  
 ოკეანესი ჰქონდა შუაგული!  
 და ახალ ნაპირს იმედად ათოვს  
 მზე, რკინასავით შემოდაგული...  
 ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!  
 სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!  
 დროშას, გაწევას, ძალთა მოქრებას!  
 ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,  
 ინტერნაციონალის აბობოქრებას!

## ინდუსტრიული ნანა

დაიშინე, ალფისტანა,  
 ბევრია კი შენისთანა?  
 მშენებლობის დიდი დროა,  
 რომ არ თქმულა იმისთანა.  
 ძილში პრესა ჩაგყვა თანა,  
 ან რადიო დაგეზმანა?  
 გაქანება და მოტორი...  
 სიხარული არის, განა?  
 წინანდელი თოსის ყანა  
 რჩება მამაპაპასთანა,  
 შეესია ტრაქტორები,  
 ქვალი კვალზე გაიტანა,  
 ინჟენერი თუ ხარ, განა  
 ცოტა არის ამოცანა?  
 სახლი ღადგა იმისთანა,  
 საუბრობდეს ღრუბლებთანა,  
 ნეტა რაა იმისთანა,  
 ამომავალი მზისთანა,  
 შრომასთან რომ ღროშებია,  
 გაერთიანებისთანა!

## პოეტი და მასა

ნუ გვინია, რომ სიმღერას  
 შენსას ვერვინ გაიგონებს,  
 ვერ გაარღვევს მწუხარებას  
 და ვერავის დაიმონებს.  
 არა, მუდამ ახალია  
 და ძლიერი შენი სიტყვა,  
 იგი წინათ ხალხის გულში  
 დაფარულად გამოითქვა.  
 ძლიერია ჩანგის ხმაზე  
 ბევრის წრფელი ღამეთ თევა  
 და იდუმალ სიმღერაზე  
 სულის ცეცხლად გადაქცევა.

## სიმღერა!

ნუ მინდობ, შენსა ლხენასა,  
მთლად მიმეც ალმაფრენასა,  
შენს ხმებს ვუმონებ, გეთაყვა,  
მღელვარე გულის ძგერასა!  
მოყვრის გულს გავახალისებთ,  
მტერი დაგვაკლებს ვერასა,  
დაჰკარი მარჯვნივ და მარცხნივ  
ჩხიკვს, შავ ყორნებს და ძერასა!

## რა იყო შენი ბავშვობა?

აბა, რა იყო შენი ბავშვობა:  
 მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს...  
 არც სიყმაწვილე, არც თამაშობა,  
 სულ სილარიბე გარომევდა სასოს...  
 გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა.  
 საკუთარ სახლად მას უცქეროდი,  
 როცა ეს ბინაც მწარედ გდევნიდა  
 და შენ მომავალ ბრძოლებს მლეროდი.

## ଓଡ଼ିଶାରୁଲ୍ଲି

ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବ୍ୟଳକ୍ଷେ ପ୍ରାଚୀଲ୍ଲେଖି  
ମନ୍ଦରୀରୀନ କ୍ରେବାତ-କ୍ରେବାସ  
ଲା ନାହାଲିପ ଉତ୍ସର୍ବ୍ରନ୍ଦେଲାଲ  
ମନୀମନ୍ଦରୀରୀଲ ଗାମାରଜ୍ଜ୍ଵେବାସ.  
ପ୍ରାଚୀଲ୍ଲାପ୍ରେରି, ପ୍ରାଚୀଲ୍ଲାପ୍ରେରି  
ମାନୀନୀନୀଶ ଏରତ୍ତ୍ଵୀଲ କିମନ୍ଦେବୀ,  
ପ୍ରାଚୀନ୍ଦେବା ସିନୀରୁଲ୍ଲି  
ମରାପାଲ ପାରଦେବି ଲା ପାରିଗ୍ରାନ୍ତେବୀ.

აღტაცმბას იმედისას და  
 მსოფლიო გამარჯვებას

დღეს მებაღემ სარებს ვაზი  
 მიაკონა, მოაკონა.  
 მზემ მიდამოს მშვენიერი  
 ვაზაფხული მოაგონა.  
 ახმაურდეს ყველა ჩანგი  
 და გამძაფრდეს გულთა ძგერა,  
 ვერ დამაცხობ, ვერ დამძალავ,  
 ვერ გამისწრებ, ვერა, ვერა!  
 მაინც ვიცი, მაინც ვიცი  
 ვერაფერი შესცვლის შეებას,  
 ალტაცებას იმედისას  
 და მსოფლიო გამარჯვებას!

## უტესი ხმებით

შენგნით იმედს შეუპყრივარ,  
განცლა მომდევს გაბასრული,  
ჩემ სიხარულს, აღტაცებას  
ეხლა არ აქვს დასასრული.

გრძნობა ლბება უხილავად  
უტეხელი იმა ხმებით,  
გაღვიძებულ ოცნებითა  
და აშკარა განახლებით.

## ძუჩიხს უშავილი მოეფინება

ქუჩებს დროშები მოეტინება  
 და გაბრწყინდება სახეთა ლვარი,  
 ინტერნაციონალის სიმღერით წავა  
 ამ ქალაქებზე მუშათა ჯარი.

ფერადი ფერით შეიმოსება  
 ყველგან სახლები გიგანტიური,  
 ყველგან ელვარე გაზაფხულია  
 და ვარდებია ყველგან მზიური.

პროლეტარიატს შუბლზე პფენია  
 ცხარე ბრძოლების ალთა ჩქერება,  
 „ბედნიერება შეიქმნეს ქვეყნად!“ —  
 თქვა — და იქნება ბედნიერება.

## სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას  
სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით;  
თავზე ტყვიები დაგვფარფატებდა  
და გატაცება ფოლადის ფრთებით.

ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს,  
ბავშვობიდანვე ჩვენი ცხოვრება  
იყო მარტოდენ რევოლუციის  
მქუხარე ძალთან დამეგობრება.

რომ გაგიჟებას გავდა დღეები,  
მრავალფეროვან წამთა ფერხულში  
წინ მიყდიოდით და იმედები  
გამარჯვებისა ხარობდა გულში.

## სალაში ახალ გზით გამორთიანებულ საჩართველოს!

წინათ მეტენის ბურჯი  
და ნარიყალა აგეს,  
ეხლა მძლავრი და ურჩი  
სიტყვა ეკუთვნის ზაჰეს.  
სიბნელე? არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს!  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს!  
დრო მიღის ნაოელ გზით,  
რომ მტრობა დათრთვილოს,  
სალაში ახალ გზით  
გაერთიანებულ საქართველოს!  
სიბნელე? არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს!  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს!

## პრეზენტ ახალი სიცოცხლის აკვანს

ეს გაზაფხული გამძაურებული  
პატიმრობისას გაარღვევს საკანს,  
გახარებული ხელის კანკალით  
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.  
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,  
მთეოქავი ძალა არეს ჰუენია,  
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,  
შეხედე, ეხლა რაოდენია!  
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,  
მათ განახლებას ეუბნება ბანს,  
ეს გაზაფხული უხარებს ღლეებს  
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

## დაჭკარ, ორკესტრო!

დაჭკარ, ორკესტრო! გული გააპე,  
 ნაპერწკლებია დღეს ყველას გულში,  
 ეხლა განათლდა მის ჯურლმულებში,  
 იმის მაისში და სიხარულში.

თვითეულ შუქში, თვითეულ ქვაში  
 დაუძლეველი ლალადებს გრძნობა:  
 „ინტერნაციონალთან, ინტერნაციონალთან,  
 გვჯერა, ალსდგება კაცობრიობა“!

## მიჰევა, გაუგოდე ბორბლებს

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი,  
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეოქელი,  
შრომით იბურება სუნთქვა განახშირი,  
როგორც მასალები ასაფეოქებელი.

დგანან მშენებლები, როგორც ქვა-პიტალო,  
არის ანგარიში მაღალ სართულებით,  
მოსჩქეფს ზაჲესიდან ალი მოწითალო  
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.

• მიჰევა, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური!

## ხვალ მაისია

ხვალ მაისია. რა სიხარულით  
 ჩვენ გავალთ ხალხში აღფრთოვნებული!  
 საღაა მტერი, ისევ მაისმა  
 მას სასიკვდილოდ გაუპოს გული.

ხვალ მაისია. წითელ დროშებით  
 და ყვავილებით გამოვა მასა,  
 მაგისმა მისცა მას გამარჯვება,  
 მაისმა გრძნობა გაუალმაზა.

\* \* \*

ჰქუედე, გულისთქმავ! სული მღელვარებს,  
 გული მწველ ცეცხლით ქვლავ გაიმსჭვალა,  
 გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა,  
 გაშუქდი, სანამ გექნება ძალა,  
 გაშუქდი, სანამ სიმნი შესძლებენ  
 და სილრმეს კიდევ ცეცხლი ექნება,  
 მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ...  
 გაშუქდი, დიდო ბედნიერება!  
 არის სიცოცხლის დიდი მიზანი  
 და უფრო დიდი დანიშნულება:  
 ფერფლი არ იყვეს ადამიანი,  
 სანამ ახარებს თავისუფლება.  
 ბედგანათებულს სჯეროდეს ერთი  
 მზე თანაბარი კაცობრიობის,  
 იბრძოლოს შრომის სუფევისათვის,  
 იყოს მღერალი მზიური ყოფის.  
 და პოეზიის სიმაღლეები  
 ერთგულ მფარველად დარჩება თანა,  
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,  
 რა არის მასთან თვითონ ქვეყანა!

## ჩვენ ავდიოდიო საღრჩოებისაზე

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება,  
გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი!  
ვესარჩლებოდით დამონებულის,  
დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.

ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას,  
არ შევუშინდით მტრების მუქარას,  
გმირმა არც ერთმა შებრძოლებაში  
არჩეულ გზას არ გადაუხარა.

ამხანაგებო! გვწამდა: თანაბრად  
გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,  
ამ რწმენით, სულით დაშვეიდებული  
ჩვენ ავდიოდიო საღრჩობელაზე.

## რამდენ დაშვე მოელო ბოლო

მომაგონდება ძველი ცხოვრება  
 და განთიაღი ჩვენი ბედისა...  
 ვფიქრობდით: „როდის გამოაშუქებს  
 მზე გათენების და იმედისა,  
 როდის იქნება ხალხის ტანჯულის  
 სამართლიანი ქვეყნად უფლება,  
 თანასწორობა, შრომა, სიმართლე,  
 ერთობა, ძმობა, თავისუფლება?“  
 ბოლო მოელო ხალხის წამებას  
 და ფუჭ ცხოვრებას, უნაყოფობას!  
 მაშ რამდენ ღამეს მოელო ბოლო,  
 რამდენ წურბელას, რამდენ ობობას!!

## 06 დროშა სიზმარივით ჭავილა

ის დროება სიზმარივით წავიდა,  
 ოდეს ბაგშვი იყავ მოხეტიალე,  
 რკინისგზები — სავსე სანახავითა,  
 რონოდები ციფი, ოხერტიალი.

ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს,  
 როს მშიერი, დასისხლული ფეხებით  
 მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს  
 შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.

ყველაფერი სიზმარივით წავიდა,  
 როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოვლი.  
 სავსე არის ახალ სანახავითა  
 ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.

## რეა მარტი

რა მწარე იყო წარსულისადმი  
უკანასკნელი შენი თაყვანი,  
შენს სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა —  
თავისუფლების შეილის აკვანი.

რარიგ ბადებდა უიმედობას  
უუძველესი ოჯახის ქინი,  
საკუთარ რწმენას ქმარი გართმევდა  
და საკუთარ გულს ბავშვის ტიტინი.

ეხლა (როგორი დაგვიანებით!)  
დრომ მოგაგონა შენ შენი ვალი,  
ხარ თანაბარი აღამიანი,  
უფლებიანი მშრომელი ქალი.

## ქალაქი ჭალაშვილი

ლელვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე“  
 ანძები დატყდნენ, როგორც მშვილდები,  
 ფიქრებს მორევში რაც უნდა ჰქონდე,  
 ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.  
 რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
 უზარმაზარი გორების ეტლებს,  
 პოსეიდონის ძველი ზღაპარი  
 ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.  
 ასთუთიანი ჩაქუჩის ცემით  
 ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას,  
 მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი  
 ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.  
 გადმოანგრიე შენი ზეირთები,  
 რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს...  
 იქცხე, გასწყრი, არ ავტირდები,  
 არც შებრალებას ვითხოვ არასდროს!  
 მე სხვანაირად ზეირთი მოგსახე,  
 მზემ ჩემკენ შუქი რა მოილერა,  
 ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახე  
 გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.  
 როგორ? მე ვქმნიდი იმედებს განგებ  
 და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,

მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს,  
 რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკბო სმენა?  
 არა და არა! მრავალი სტანჯა,  
 მრავალს დაუფრთხო სიმშეიდის ძილი,  
 ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,  
 ლექსი მტრებისთვის იყო სიკედილი.  
 მოგხვდათ? იკრძენით? შევატრიალე  
 თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
 იყო თუ არა ჭექა-გრიალი,  
 ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?  
 ო, ზავთ ზღვაო! ასწიე გემი,  
 შუქი დაენთოს ქაფთა მოკრებას!  
 დაე, კვლავ გავდეს მგზავრობა ჩემი  
 ცხოვრების ჩემის აბობოქრებას!  
 მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,  
 ეხლა იქ მყუდრო ნავთსადგურია,  
 წყალში შთასული არის მითები  
 და ძველისძველი დიოსკურია.  
 ნავთსადგურიდან თავდება ხაზი,  
 ერთ დროს აქ იდგა მრავალთ-მრავალი  
 სხვა წინაპარი ჩემი, აფხაზი,  
 უძველეს დროის შთამომავალი.  
 გენიალური, უკვდავი თემა!  
 პოეტებს, მსხვერპლებს ტლანქი ფურიის,  
 მე შემიძლია მიესცე პოემა,  
 პოემა ახალ დროსკურიის.  
 მასში ცხოვრება ლვივის მედვარი,  
 უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად.  
 დახარბდებოდა თვითონ ელგარი  
 იმ იდუმალი გზის სანახავად.  
 ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები

ქველ კედლებისას ჰპოებენ ხვავებს,  
 ამოაქვთ ოქრო აუარება  
 და საგანძურით ავსებენ ნავებს.  
 ქალაქი წყალქვეშ მძინარი მარის!  
 როს შეღამდება ნაცრისფრად ასე,  
 მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
 და ალმაცერად იშლება ზღვაზე —  
 ნაპირებიდან კავკასიონის  
 მთებამდე მოსავს ბინდები შავი,  
 მაშინ მძინარე პონტიის დონეს  
 მე მიმაქანებს ფარული ნავი.  
 ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
 თითქო სხვა მესმის იღუმალება,  
 ილიუზია! ჩეენება! მასში  
 სულ ახლო, ახლო რომ იმალება.  
 თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
 მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
 მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა  
 და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.  
 მიუყურადებ: ისევ და ისევ  
 განმეორდება ხმა უცნაური,  
 ის იღუმალი ქალაქი სფინქსი  
 მეძახის უცნობ აურზაურით.  
 ვგრძნობ: თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
 ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს,  
 წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით  
 ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.  
 აქ დაფარულა მთელი კრებული  
 და სიბნელეში ელავს თვალები,  
 ის ძველთაძველი შთამომავალი,  
 ის უძველესი ფეოდალები.

მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე,  
 რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით  
 ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
 ათასეული კილოვატებით.

იყო ქალაქი, იყო საგანი —  
 ოდესმე მძლავრი და ალიერი,  
 ახლა ცივია გზა შინაგანი  
 და იდუმალი სიცალიერე...

„ტეოდორ ნეტტე“ ახლა ისვენებს  
 და ფრინველების დაცხრა გუნდები.  
 მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს  
 არასდროს აღარ დავუბრუნდები.

## დაპერა ჭირაძეი!

დაპერა წერაქვი, დაპერა წერაქვი,  
 ჰეი, დაპერარი!  
 გადმოანგრიე მძიმე ლოდები  
 ნიადაგარი,  
 აგურს — აგური, ფიცარს — ფიცარი,  
 მკლავი მაგარი,  
 ვერას დააკლებს ახალ შენობას  
 წვიმა და ქარი.  
 დაპერა წერაქვი, დაპერა წერაქვი,  
 ჰეი, დაპერარი!  
 მოდის ტრიალი ინდუსტრიალურ  
 ოლმშენებლობის.  
 წინ, წინ! მალალი, მშრომელი ხალხის  
 დროშა აქ არი,  
 დაპერა წერაქვი, დაპერა წერაქვი,  
 ჰეი, დაპერარი!

## რევოლუციურის, საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უაღრესს,  
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აჩრს,  
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;  
აღფრთოვანებას მასებისას, მიღრარდიან  
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,  
უსასტიკესი დაუინებით რომ ანგრევს ქარებს  
მიღიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,  
ნგრევას, თ, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,  
ქარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიღეთ მზეზე.  
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,  
რევოლუციურ საქართველოს,  
ნატომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვითრებელს —  
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

თანდათან, თანდათან ახალი  
ჩვეულება! შეძლება!

რამდენიც მძლავრი  
მკვიდრდება სახლი  
და ემატება  
აგური აგურს,  
თვალი სიახლეს  
ხვდება სიახლით,  
გულიც უჩქარებს  
რიტმს ამნანაგურს.  
არაფერია,  
თუ ამ ლექსთა ცვლის  
სისწრაფეს ბევრი  
თვალსაც ვერ მოჰკრავს,  
ცოტათი მაინც  
სისწრაფე მისი  
ჰგავს ჩეენთა დღეთა  
კინემატოგრაფს.  
ვინ იფიქრებდა,  
რომ ამოდენა  
გრანდიოზული  
საქმე გველოდა.  
ასეა ტემპი, ასეა დენა

რევოლუციონურ  
 საქართველოთა.  
 როცა ვიგონებ  
 ძვირფას სახელებს  
 სხვა რომ ხატავდა,  
 აწ არც მამშვიდებს,  
 და არც მახელებს...  
 მორჩა, გათავდა!  
 გათავდა, მორჩა!  
 საქართველოს  
 სხვას ველით წრიდან --  
 ყოველი მხრიდან,  
 ყოველი მხრიდან,  
 ყოველი მხრიდან!  
 წაიღო ცხოვრებამ  
 ოცნება  
 მოსილი ლაჟვარდი  
 ქორდებით;  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 ყოველდღე  
 იმ წარსულს ვშორდებით.  
 გზებიდან მიიჭრა  
 ანძასთან ტრიერით, ბენზინით,  
 ფორდებით...  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 ყოველდღე  
 რუტინას ვშორდებით.

ხარაჩოც, ქცეული  
 ლანდათა,  
 და კერაც, რომელიც  
 ენთება,  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 თანდათან  
 ახალი ქვეყნისთვის  
 შენდება.  
 სასახლე, რომელიც  
 სჩანდა თან,  
 ჩაგრულის  
 სისხლი და ოფლია,  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 თანდათან  
 ახალის  
 გახდება მსოფლიო.  
 ვინ იფიქრებდა  
 რომ ამოდენა  
 გრანდიოზული  
 საქმე გველოდა.  
 ასეა ტემპი,  
 ასეა დენა  
 რევოლუციონურ  
 საქართველოთა.

## ს ი მ ღ მ რ ა

ვჭექოთ — სიმღერა თუჯის,  
 ვჭექოთ — ფოლადის ჰანგი,  
 ვჭექოთ — დროშები ქუჩის,  
 ვჭექოთ — ბრძოლების ბანგი.  
 ვჭექოთ — მრისხანე ბრძოლა,  
 ვჭექოთ — მქუხარე ეხო,  
 ვჭექოთ — ცეცხლისა ქროლა,  
 ვჭექოთ — სიმღერა ვჭექოთ.  
 ვჭექოთ — ახალი ალყა,  
 ვჭექოთ — ოქტომბერთ რიცხვი,  
 ვჭექოთ — ცხოვრება ტალღის,  
 ვჭექოთ — ცეცხლის და რისხეის.  
 ვჭექოთ — რაც წინათ კვნესდა,  
 ვჭექოთ — გაღვიძოთ, ვრეკოთ,  
 ვჭექოთ — შევხედოთ მზეს და  
 ვჭექოთ — ჰეი, ვჭექოთ, ვჭექოთ!

მხარი მხარს, მხარი მხარს!

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
 კოლექტივო, მხარი მხარს!  
 აბა ჰე, აბა ჰე,  
 აბა მიესცეთ მხარი მხარს.  
 წავიდეთ, მოვედოთ  
     თავისუფალ მთა და ბარს.  
 მიეიდეთ, მიეუდგეთ  
     გაერთიანებულ ჯარს.  
 ჰარიქა, ჰარიქა,  
     ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს,  
 ჰარიქა, ბობოლა  
     ძველ ღობებს უვლის გარს,  
 აბა, ჰე, ქალაქო,  
     ველით მანქანების ლვარს.  
 მხარი მხარს, მხარი მხარს,  
     კოლექტივო, მხარი მხარს,  
 წავიდეთ, მიეხედოთ  
     ცეცხლმოდებულ მთა და ბარს,  
 ღროშებით მიეუდგეთ  
     გაერთიანებულ ჯარს.  
 ეინ ნახავს რამე დარს,  
     ახალ საქართველოს დარს,  
 მეხი მეხს, ქარი ქარს!  
     ჩეკენ ქი მიეცეთ მხარი მხარს!

## პოლესილის დაბლობზე

მალარია!  
 ხან სიმინდი უტყვია,  
 ვით ეს ყანა,  
 ფარცხი, ფაცხა მეგრული,  
 გული კაცის  
 მოქლულია უტყვიოდ,  
 ხელები აქვს  
 უბორეკილოდ შეკრული.  
 სასიმინდე,  
 ნახე, როგორ მოხრილა,  
 ძლივს იკავებს  
 ჩამომპალი მორები.  
 ტაროებიც  
 როგორ მიყრილ-მოყრილა,  
 რა სიშმაგით  
 ღრიალებენ ღორები.  
 არა შორი  
 და ველური სპილოა,  
 არამედ სხვა,  
 სიცხიანი დინება,  
 რომ გაშლილა —  
 ეს სოველი ტილოა,

მალარიის  
 ყვითლად აბიბინება.  
 აქ აყვავდეს -  
 უნდა მთელი ფლორიდა,  
 ბალზე ბალი  
 გესალმება გორიდან,  
 აქ ასეა.  
 მალე აშრიალდება  
 ფორთოხალის  
 და ლიმონის ბალები,  
 დაიქროლებს  
 სიო კალიფორნიის  
 და პალმების  
 აიწევა თაღები.  
 ბურუსში ჩანს  
 სუბტროპიკის მცენარე,  
 ამ ჭაობზე  
 ხვალ რომ გადაიშლება,  
 გაუმარჯოს  
 აყვავებულს ამ არეს,  
 პირველყოფილს  
 რომ სპობს გადაშიშვლებას!

პიონერო, იშავ ღირსი  
 ახალ ჟოუზაცხოვრების

სხვა ბავშვი კი რომ  
 აღტაცებით  
 აწყდება სკოლას,  
 საფეხურიდან  
 რომ აპყვება  
 ახალ საფეხურს,  
 ის კარგად იცნობს  
 თავისუფალს  
 შრომას და ბრძოლას,  
 ის იცნობს ·  
 ახალ საქართველოს,  
 მის წინსვლას მეხურს.  
 ის 9 წლისაა,  
 მისი წიგნი,  
 მისი გრიფელი,  
 მისი რევული,  
 მისი წერა  
 აპოქრიფული,  
 როგორ დაშორდა  
 ჩემს წინანდელს,  
 სუსხიან წარსულს,

ახლა ვიგონებ.  
 ყოველივეს,  
 როგორც დასასრულს...  
 გულშემზარავი,  
 საშინელი  
 სკოლის ნამტვრევი  
 გაგახსენდება  
 და სიკვდილი  
 მოგენატრება.  
 მწარე დრო იყო,  
 ბავშვებს ჰქონდათ  
 დავა და ჩხუბი:  
 მათ დაარსეს  
 „ხალხის მტერთა  
 მმუსრავი  
 ჯგუფი“.  
 მასწავლებელი საზიზღარი,  
 მტარვალი, ქრული,  
 მათ წინ დაეცა  
 ცხელი ტყვიით  
 გულგანგმირული —  
 ის, ვისიც ხელში იზრდებოდა  
 მთელი თაობა.  
 ჩამოვიდოდა რომელიმე  
 „არარაობა“,  
 მოქანდა თავის სამღვთო სჯული,  
 ძველი კოდექსი —  
 დიდმპურობელური  
 გაცვეთილი  
 პროზა და ლექსი,  
 შუღლი, დაცინვა,

კარცერები და ეკლესია,  
 და მათ შესაფერ  
 პატივს სცემდნენ,  
 როგორც წესია.  
 პიონერებო!  
 თქვენ არ გახსოვთ,  
 ო, ეს ველური  
 დაბრმავება და  
 შოგინიზმი  
 დიდმშერობელური...

. . . . .

პიონერო, იყავ ლირსი  
 ახალ ყოფაცხოვრების,  
 შენ ხანა არ გაგივლია  
 ძველი გამათხოვრების.  
 მასამ აბობოქჩერებულმა  
 ის ბორკილი დალეჭა,  
 რომ ნისლებს არ დაებურა  
 შენი გამჭვირვალე ცა.  
 ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი  
 დაუნდობლად შელახა,  
 რომ ნამდვილი გაზაფხული  
 შენთვის გადაენახა.  
 თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა,  
 ცისფერ იის ლერები,  
 გაზაფხულის ეს მზადმყოფი  
 ნორჩი პიონერები.

მშენებლობა მოდის ქვეყნად  
ჯერ რომ არსაღ ნახულა,  
პიონერო, ეს დღეები  
შენთვის გამოსახულა.  
ხუთწლედი ოთხ წელიწადში!  
საქმეს — თავის ალაგი!  
მოდის სოციალისტური  
სოფელი და ქალაქი.

ცუ მიათოვდებ ლექსს უთვისტომოდ,  
 დროის, მპოვის და სიცხვის გარეთ

არა თუ წლები გადეშვა ტყდომად —  
 წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;  
 ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,  
 დროის ეპოქის და სიცრცის გარეთ.  
 ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,  
 ბევრის ნაბიჯი არის ტატი,  
 დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს  
 ეს წელიწადი, დღე და საათი.

არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,  
 ყოველი ლექსის ყოველი პრქარი  
 არის გაჭრილი კლასობრივ ომად,  
 არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.  
 ეპოქა არის ნამგლის, ქურების,  
 ეპოქა, რამაც ძველი შეთოქა,  
 ეპოქა ძველის განადგურების,  
 ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.  
 ამ გადატეხის ათეული წლის  
 ჩემნთა მიღწევათ მოანგარიშე,  
 წერტილი რაა, სტრიქონი — ისიც,  
 ისიც არ უნდა დარჩეს გარეშე.

ყველამ შეტევა და შეძახება  
ერთ მეექვსელის ხმალთან დალესოს,  
როცა ეპოქა დაეჯახება  
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.

არა თუ წლები გადეშვა ტყდომად,  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,  
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ..

## პრესა

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!  
 ზაჟესი ღამეს ელვარედ ლესავს,  
 ვარსკვლავებს სძინავთ,  
 გრიგალსაც სძინავს,  
 მთებს სძინავთ —  
 მაგრამ არ სძინავს პრესას.  
 მანქანასთან ვწერ,  
 ღამეა, ზრუნვას  
 ერთი ლაქაც არ ამეასედებს,  
 როტაციონის მანქანა ბრუნავს  
 და ხვალისათვის რაზმავს გაზეთებს.  
 მწყობრი მანქანა  
 გრგვინვას მოიღებს,  
 თითქო ბრძოლის დროს ჭიქდეს მხედარი —  
 თუ ცოცხალი ხარ, — ხმა ამოიღე,  
 სამარეს მიღი, თუ ხარ ცხედარი!  
 ვით ჩქერი მდორეს  
 სჭრის და ერევა,  
 მორევს ღამისას სძრავს ეს ჭენება,  
 ასე შეხვდება ერთმანეთს ნგრევა,  
 ქველის ნგრევა და ახლის შენება.  
 პრესა აქ უდრის

მერანზე უმალს,  
 პრესასთან ვცხოვრობთ, პრესასთან ვყივით,  
 ძველი ცხოვრების ყოველ სასოფლაოს  
 პრესა აღვიძებს ახალი სხივით.

ყოველი სოფლის მიწას და ტატნობს  
 გამოფხიზლება უნდა ახაროს.

ტემპი! — მოესმის ქარხნებს და მაღნებს,  
 ტემპი! — მოესმის ტყეს და მაღაროს.

ველებზე მისით

ლელავს თვები,

მანქანა მიაქვს სახლის ოდენა.

ტემპი! — მიჰყვირის კოლექტივები,

ტემპი! — ძაგძაგებს ელექტროლენა.

აქ წყალვარდნილი

აგავს ნიაგარს,

იქ მძიმედ მიდის ალაზნის არხი,

ეძლევა ბუჩქებს მტკიცეს და მაგარს

ელექტროძარღვი, სიცოცხლის ძარღვი.

განა ჯერ ისევ

ათი წლის წინათ,

როს პირზე ექრათ მარქსი, ბებელი,

ბურეუაზიას პრესა და პინა

არ ჰქონდა ჩვენში ხელუხლებელი?

ხელუხლებელი

არ იყო განა

ველად ნაშთები ფეოდალობის?

მემამულების ეჭირათ ყანა,

ნიშანი ძველთა მეფეთ წყალობის,

მდიდრებს უმღერდა

პრესა, პოეტიც,

როს საქართველოს, გზად გასაგები,

ვით ქოლონიას, სწვდნენ უცხოეთის  
 ბურჯუაზის ავაზაკები.  
 ელვის სისწრაფით,  
 ვით კინოლენტი,  
 წინანდელ პრესის გაიჭრენ დღენი.  
 პრესა, შენ ვითომ სინათლეს ჰქონდი,  
 მაგრამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?  
 ანთებდა ხმლის და  
 დანების წევერი  
 გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,  
 ჩამოძონძილი, აფი, მშიერი  
 ხმა აყრუებდა მიდამო-შარას:  
 დაჰკარი, დაჰკარ!  
 ის ქართველია,  
 ეს სომეხია, ის თათარია.  
 იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია,  
 რა ვქათ, სხვა რჯულის ბინადარია.  
 რა ხანა იყო!  
 ძმიმ ძმა არ ინდო,  
 მიწის გაპქონდა პრესას ზანზარი,  
 როს შოებინიზმის ცეცხლი დაინთო  
 და ეროვნული შუღლის ხანძარი.  
 პრესა მდიდრების  
 იყო მორჩილი,  
 სისხლში სცურავდა ქუჩა ნაგები...  
 ვინ ეცემოდა ყელგამოჭრილი?  
 მხოლოდ ლარიბი და ლატაკები!  
 და შერცხვენილი  
 გზის მემამულის  
 იბრძოდა პრესა გაუტეხელი,  
 რომ მეფაბრიგეს და მემამულეს

მარადის სავსე სდგმოდათ ბელელი.  
 ისევე შდიდრებს  
 და მხოლოდ მდიდრებს  
 თვით პოეზიის ართობდათ ჩანგი,  
 აქ კი მონობა მშრომელთ აფითრებს  
 და დიად მიზნებს ედება უანგი.  
 აივსო ციხე  
 კომუნარებით,  
 იწვის სოფელი აჯანყებული:  
 აქ აზიისკენ გაჭრილ კარებით  
 ორი გზა იყო დაჯახებული.  
 უცხო ინგლისის  
 იმპერიალიზმს  
 მოჰქონდა ჩავრა მუშის და გლეხის,  
 შავ დღეებისას გასცეურდა ტრიალს  
 ორაზროვანი სახე მეტების.  
 ნამდვილ პრესას კი  
 ედო ბორკილი,  
 ისე გადახდა მტერს ერთი ასად,  
 როგორც დალლილი და დაჯორგილი  
 იხუთებოდა პრესასთან მასა.  
 ტალები მისი არა სცხრებოდა,  
 ღინამიტები ხან იქ და ხან აქ  
 იმუქრებოდა, ემზადებოდა,  
 მოუწოდებდა მებრძოლს, ამზანაგს.  
 ბოლოს მრისხანე  
 მზემ ამოხეთქა  
 და გადალექა  
 მძიმე სურათი,  
 ახალმა ძარღვმა დაიწყო ჟეოტქა  
 რევოლუციონურად.

რევოლუციონურ

პრესამაც აგრე

მძლავრად შემოჰქრა და მტკრად იქცია

მლიქვნელი პრესის ციხე-სიმაგრე —

შავი ცხოვრება და რეაქცია.

ეს იყო თვალის .

დახამხამება,

მომენტი რისხვის და წყევლა-კრულვის,

როცა უფსკრულში მიღის წამება

და აუწერელს იწვევს სიძულვილს.

ის საქართველო .

გაქრა მონების,

გზა მისდევს მთაში კლდეებს ფრიალოს,

რომ იქ სიმართლის გაბატონების

წითელი დროშა ააფრიალოს.

მიწა სახალხო

არის ქონება,

სასახლეებიც მისია სერჩე,

ერთ ერს ნურას დროს ნუ ეგონება,

რომ გაბატონდეს მეორე ერზე.

სჭედს პრესა ქედლებს,

სვეტებს და თაღებს,

მას მოაქვს რკინა, ფოლადი, კირი,

დღეებს სიახლით აიარაღებს,

როგორც დამკერელი და შრომის გმირი.

ახლა ვერავინ

გაანადგურებს,

საქართველოში დარის დარებას,

ფერომარგანეცს და ელსადგურებს,

მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.

ლიაა შუბლი,

ლიაბ მკერდი,  
 რომელსაჩნია ბევრი კრილობა,  
 მრავალთ-მრავალი ჰქუმეს, როგორც ერთი:  
 მარჯვედ, პირდაპირ! ძირს გულგრილობა!  
 ჩვენი პრესა დგას  
 ხელალმართული  
 თავის უსივრცოდ დიდ ასპარეზზე.  
 უზარმაზარი ააქვს სართული  
 ინდუსტრიალურ ხე-ტყის არეზე.  
 მძიმე ბორბლებს რომ  
 აბრუნებს ლველი  
 მსოფლიოს უნდა გახდეს მფლობელი,  
 მისით მეტყველებს მშრომელთა ბედი,  
 მისი ქალაქი, მისი სოფელი.  
 არის სიახლე,  
 და მოძრაობა  
 აპოზდეს გრიგალს, კლდესა და ლრესა,  
 პრესას არ უყვარს ტბა და ჭაობი,  
 მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა.  
 შრომა ამ ჭაობს  
 არღვევს მოსილულს,  
 გზა ახლა ლაფში აღარ ეფლობა,  
 პრესა აშუქებს დიდს, ძლევამოსილს  
 სოციალისტურ აღმშენებლობას.  
 ის წვრილმანსაც კი  
 ებმება სიმით,  
 როდესაც ქარი მიდამოს ძარცვავს,  
 რამით, კანაფით, ჩაით სცვლის სიმინდს,  
 მის ყვითელ ლერებს და ყვითელ მარცვალს.  
 მოხდა რიგების

ახლად დაყოფა,  
 კვარი ეერ დასძლევს ელექტრიზებითოს,  
 ძირს ხრიოების უნაყოფობა,  
 ჩვენი სალამი მარგანეცს, ლითონს:  
 პრესა, შენ აგებ  
 ფაბრიკა-ქარხნებს,  
 აქ არც ყოყმანი და არც ყოვნება,  
 მემარჯვენეთა გაცვეთილ არღნებს  
 ჩვენი მედგარი სძლევს ხელოვნება!  
 ცემენტი, ნაეთი,  
 გემების კვნესა!  
 ხელავს რა ჰვენის სიგრცეს უდიდესს,  
 კითხულობს პრესა, ხმაურობს პრესა,  
 პრესა ყიუინებს და მიუთითებს.  
 ბარიტსა და გუმბრს  
 მიწა ფარავდა,  
 მიწაზე იღვა ტაძარი, მესა,  
 ახლა ყოველგან, ყოველ კარავთან,  
 ყოველ დაზგასთან მივიდა პრესა.  
 ეძებს მინერალს  
 საგაზაფხულოს,  
 უკან დახევა მას არ სჩევდია,  
 გამალიდებელ შუქით ნახულობს  
 მასაც, რაც ძნელი შესამჩნევია.  
 ცოცხლობს დღეის დღით,  
 თუ ზომავს ხვალით  
 პარიზს, ჩიკაგოს, ვენას, ლანკაშირს —  
 ის იხედება მახვილი თვალით,  
 აქაქანდება და ასტებს განგაშს.  
 არის აზია  
 თუ ავსტრალია,

მხარე მჩაგვრელის, მხარე მონების, —  
 პრესა მღელვარე მასის თვალია,  
 პრესა თვალია მილიონების.  
 ბურუუაზის პრესავ,  
 მონა ხარ,  
 ნამდვილი პრესა კი თქვენს კაპასებს  
 გააპობს ქვესკნელს და იქ მონახავს,  
 ასწონ-დასწონის და შეაფასებს —  
 ახალ დაპყრობით  
 სახე უცინის,  
 მოდის რადიოდ, მოდის ექსპრესად,  
 პრესა. მსოფლიო რევოლუციის,  
 სოციალისტურ ბრძოლების პრესა!

## შვებული

აქ როგორ არ გადიხაროს,  
 რაც დილის ნამბა დანამა,  
 შვებულის გული ახაროს  
 კოლექტიურმა ყანამა.  
 მზის შუქზე უფერადესი  
 უუფუნა წვიმა მოსულა,  
 მოსაწევ-ნახნავ-ნათესი  
 ყიჯინით გარემოცულა.  
 ეს მოსავალიც, ვით მოლი,  
 უუფუნა წვიმამ დანამა,  
 თუ რამემ გული გაათბოს,  
 ისევ აკრეფის ხანამა.  
 ზვარს ვინ შეხედავს უგულოდ,  
 ვარდი ყელამდე მოსულა,  
 სიმღერა დავიგუგუნოთ,  
 ჩვენი შვებულიც მოსულა.  
 მოსულავ მოსულა, მოსულა,  
 ჩვენი შვებულიც მოსულა,  
 გაზეთი მოუტანია,  
 ბობოლა დგას გულმოსულად.  
 დანამა, დანამა, დანამა,  
 უუფუნა წვიმამ დანამა,  
 თუ რამემ გაგვახალისოს —  
 შეხვედრამ ამისთანამა!

## ალუჩა, შვიდი ჭლის ბავშვი

ის იყო შვიდი წლის ბავშვი.  
 მაისი, მინდორი, ჩიტი,  
 სიმღერა ოქროსფერ ნავში,  
 ზეცათა ლაქვარდი ჩითი.  
 ო, შვიდი... ო, შვიდი წელი  
 ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით...  
 მოცარტი, შენიე, შელი  
 მოზგავდნენ ახალი ზვავით.  
 გავიდა კვლავ წელი შვიდი,  
 იმ ნავებს თან გაჰყეა რული,  
 მშფოთვარედ გადიქცა მშეიდი,  
 გემების გამოჩნდა სული.  
 დაიმსხერა გემების წყებაც,  
 ზღვა ქუხდა ბურუსში შავში,  
 ტალღებმა გააბეს ყეფა,  
 ტალღებმა წაიღეს ბავშვი.  
 ბრძოლისგან დაღლილი სახე  
 და ტყვია, ჩამჯდარი თავში,  
 მე თეითონ დაჭრილი ვნახე  
 ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.

## მთავარი მთავარი

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
 მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი  
 ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...  
 ასე ჩემი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვები!  
 მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,  
 და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით  
 მოჩანს მტკვარი და მეტები თეთრად მოელვარე.  
 ოქ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!  
 აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,  
 აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და ვეირილით  
 ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,  
 პარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...  
 და მეც მოყენდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,  
 ოლონდ ვთქა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,  
 თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები  
 და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები,  
 თუ სიკვდილის სიახლოე როგორ ასხვაფერებს  
 მომაკვდავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
 თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ  
 აღზარდა,  
 სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის ვარდა,

რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,  
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,  
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,  
რომ მეცე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,  
რომ წაჰევება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...  
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1915

## ლურჯა ცხვენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი  
 ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!  
 არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
 ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.  
 მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,  
 სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
 ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,  
 წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.  
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულდებულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!  
 სიზმარიან ჩვენებით, ჩემი ლურჯა ცხენებით  
 ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!  
 იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება,  
 ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;  
 გაქრა ვნება-წამება, როგორც ლამის ზმანება,  
 ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.  
 ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
 ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!  
 ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!  
 ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!  
 რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?

ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?  
 ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,  
 სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!  
 მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,  
 მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება!  
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.  
 მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,  
 ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
 როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
 ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

1915

## აკაპის ლანდი

მდუმარე მხარეს შორი მთებისას  
დახარის ლამე და ანდამატი.  
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა,  
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!

თეთრი ჭაღარით მოსილი თმები  
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით,  
და მოხიბლული იყო მთიები  
დიდებულ სახის ლვთაებრივ ლიმით.

მძიმე და დალლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
ნელი-ნელ მსვლელი ლრუბელი ჩუმი  
და მოძრაობდა ღამის მნათობთა  
ალელვებული ელიზიუმი.

გრძნობდა თანაბარ მოახლოებას  
განცვითურებული და დიდი მთები,  
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა  
მშობლიური ტყის მწვანე ზეირთები.

მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,  
შეწყდა მდინარეთ ზეირთების მღერა,  
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი  
ნაპერწკლის დროშით ააელფერა.

და საიდუმლო შუქით შემოსა  
მიწყნარებული გზა იშვიათი:  
ჩუმად... დალლილი სანთლებით მოდის  
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.

ოჰ! ასეთია დღეს განსაკუდელი  
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
დაგიწყებული ხატის მახლობლად.

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,  
იქნება ჩვენთან მარად და მარად,  
ჩვენის, სიზმრების სიღიადეში  
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავ-ქარად!

არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს  
მისი, პოეტის მაღლით ანთება.  
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,  
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება!

1915

## მე და ლაშმი

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება,  
სიო, სარქმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთეარით ნაფენს არემარე ვერ იცილგბს ვერცხლის  
საბანს,  
სიო არსევს და ატოკებს ჩემ სარქმლის წინ იასამანს.

(კა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,  
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,  
ისე სავსე უხვ გრძნებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ლრმად გულში დავატარებ,  
არ ეუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მევობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,  
ან რა არის მის სილრმეში საუკუნოდ შენახული.

ეერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,  
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხეევნა და ალერსი,

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით  
სავსე  
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სილრმეში  
მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამქამემ,  
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის ოეთრმა ღამემ.

იცის — როგორ დავრჩი თბლად, როგორ ვევნე და  
ვეწამე...  
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

1916

## განახლდა გული

განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,  
 რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...  
 გზა დამიცალე, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამე, გზა დამიცალე!  
 წინ ვივლი, სანამ დაემიწდებოდე,  
 ბედს კი მაინც არ შევურიგდები.  
 წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამევ, წინ ნუ მიხვდები!  
 ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით  
 გაუნედებელ ცეცხლში ვეწვალე?  
 ჩამომეცალე, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამე, ჩამომეცალე!  
 ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს  
 გამოთხვების ცრემლებს ვაპყურებ,  
 გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,  
 წყეულ ლამესაც გავანადგურებ...  
 წამების ცეცხლში განახლდა გული,  
 ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე,  
 გზა დამიცალე, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამე, გზა დამიცალე!

## შვილების სიაღრია

თავგანშიორულად მინდოო-ველად  
მიმაფრენს ცხენი.  
გაზაფხულია... სიო დაჭქრის  
კიდითი კიდე;  
მზე სხივებს აფრქვევს ქვეყანაზე  
შვების მომფენი,  
არე-მიდამოს ღვთაებრივი  
ატკბობს სიმშვიდე.  
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე  
ვერც სიტკბოება,  
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო  
და სანეტარო.  
დაჭქროლე, ქარო! მე არ მიყვარს  
ეგ მყუდროება,  
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,  
დაჭქროლე, ქარო!

1916



රුදාස්ථ්‍රියා:	ඩ. රාඳිනාන්ද	මතාපුල. № 16737
ගාමින්ම්පෙදි—	ස. තුවිනිනා	ශේෂ. № 106
පෝරුද්දුරුරු—	න. ගිත රුගාසු	රිඛාසු 10.000
ගාදායුපා	ජාර්මෝජාස 11/V—37	ස්ස්කු ආකාශෝමියිස
බෞලමෝත්.	දාසාධේකුදාත 28/V—37	සාශ්‍රීපිලියාලිස ස්තාමිඛා
ශාලාලදිස්	නොමා 72×105	ඩුරුවෙතුලිස ජ. 7
අනාත්.	නොමා 5×8	

## შ ი ნ ა პ რ ს ი

88.

1.	გალ. ტაბიძე—ბიოგრაფიული ცნობები . . . . .	3
2.	პირველი მაისი . . . . .	7
3.	დროშები ჩქარა! . . . . .	9
4.	ათრობდა ხალხთა შრუხარება . . . . .	10
5.	მიყვარს მარტო ქარიშხალი . . . . .	11
6.	გემი „დალანდი“ . . . . .	12
7.	* *	13
8.	გურიის მთები . . . . .	15
9.	ჩვენ, პოეტები საქართველოსი . . . . .	17
10.	სიმღერის მინდა მე წამოწყება . . . . .	19
11.	რევოლუციონერის ხსოვნას . . . . .	20
12.	მშეიდზე-მშეიდი . . . . .	21
13.	იყო . . . . .	22
14.	მღვრიე ქარი . . . . .	23
15.	ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია . . . . .	24
16.	ინდუსტრიალური ნანა . . . . .	26
17.	პოეტი და მასა . . . . .	27
18.	სიმღერავ!	28
19.	რა იყო შენი ბავშვობა . . . . .	29
20.	ეჭინება სიხარული . . . . .	30
21.	აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას . . . . .	31
22.	უტეხი ხმებით . . . . .	32
23.	ქუჩებს ყვავილი მოქუჩინება . . . . .	33
24.	სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით . . . . .	34
25.	სალამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს . . . . .	35
26.	არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს . . . . .	36
27.	დაპყარ, ორკესტრო!	37
28.	მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს . . . . .	38
29.	ხეალ მაისია . . . . .	39
30.	* *	40

31. ჩვენ ავდიოდიოტ საღრჩობელაზე . . . . .	41
32. რამდენ ღამეს მოელო ბოლო . . . . .	42
33. ის დროება სიზმარივით წავიდა . . . . .	43
34. რეა მარტი . . . . .	44
35. ქალაქი წყალ ქვეშ . . . . .	45
36. დაჭკა წერაქეი!	49
37. რევოლუციურ საქართველოს . . . . .	50
38. თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა ჟენდება!	51
39. სიმღერა . . . . .	54
40. მხარი მხარს, მხარი მხარს . . . . .	55
41. კოლხიდის დაბლობზე . . . . .	56
42. პიონერო, იყავ ღირსი ახალ ყოფაცხოვრების . . . . .	58
43. ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ . . . . .	62
44. პრესა . . . . .	64
45. შეებული . . . . .	72
46. ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი . . . . .	73
47. მთაწმინდის მთვარე . . . . .	74
48. ლურჯა ცხენები . . . . .	76
49. აკაკის ლანდი . . . . .	78
50. მე და ღამე . . . . .	80

374490

3560 1 - 30

Г. ТАБИДЗЕ

СТИХИ

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ  
ТБИЛИСИ 1937



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



K 62.949/2